

სტუდენტების გიოტებორგის დეკლარაცია

2001 წლის 25 მარტი

პრეამბულა

ჩვენ, ევროპელი სტუდენტების წარმომადგენლები, შევიკრიბეთ გიოტებორგის სტუდენტების ყრილობაზე 2001 წლის 22-25 მარტს, სადაც მივიღეთ ბოლონის პროცესის მომავლის შესახებ შემდეგი დეკლარაცია. ESIB – ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები – აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და კვლავაც მიიღებენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნაში.

1999 წლის ივნისში ევროპელი სტუდენტების ეროვნულმა კავშირებმა (ESIB) და მათ წევრებმა, სტუდენტების ეროვნულმა კავშირებმა, თავად დაიპატიჟეს თავი ბოლონიაში გამართულ მინისტრთა შეხვედრაზე, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს. ორი წლის შემდეგ პრაღაში გამართულ სამიტზე ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) ძირითადი მომხსენებელი იყო. ბოლონის პროცესში სტუდენტების წვლილის გაზრდა არის ევროპელი სტუდენტების ლტოლვა ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი უმაღლესი განათლებისაკენ.

შესავალი

ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) მიიჩნევენ ბოლონის პროცესს ევროპის მოქალაქეთათვის საზღვრების გარეშე ევროპისაკენ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში პარიტეტულ საწყისებზე უნდა გაერთიანდეს ყველა ევროპელი სტუდენტი. ამ სივრცის შექმნა ყველა ევროპული სახელმწიფოს მოვალეობაა, შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები მათ შორის. ასეთი სივრცის შექმნის მიზანი, მოწინავე გამოცდილების გაზიარებითა და ევროპულ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და სოლიდარობის ხელშეწყობით, უმაღლესი განათლების ყველა ეროვნული სისტემის გაუმჯობესებაა.

სოციალური გავლენა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლონის დეკლარაციაში ნაჩვენებია ევროპული უმაღლესი განათლების განზომილებათა ძირითადი ასპექტები, მასში არ არის განსაზღვრული, თუ რა სოციალურ გავლენას მოახდენს ეს პროცესი სტუდენტებზე. უმაღლესი განათლება აძლევს სტუდენტებს ისეთი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღების საშუალებას, რომელიც მათ მომავალ პირად, თუ პროფესიულ ცხოვრებაში გამოადგებათ. სოციალური და სამოქალაქო წვლილი უმაღლესი განათლების პირველადი ფუნქცია უნდა იყოს. უმაღლესი განათლების

დაწესებულებები სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი მოქმედი პირები არიან, შესაბამისად, უმაღლესი განათლების ერთობის ყველა წევრი უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში. სტუდენტები არ განიხილებიან როგორც მხოლოდ განათლების მომსახურების მომხმარებლები. აქედან გამომდინარე, მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ყოველი მოქალაქისათვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა. ეს ნიშნავს სასწავლო გრანტების ფორმით, სტუდენტების ადეკვატური დაფინანსებით დაკისრებული საზოგადოებრივი ამოცანების განსახორციელებლად უმაღლესი განათლების დაწესებულებების შესაბამისი დაფინანსებით უზრუნველყოფას.

უმაღლესი განათლების სივრცე

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ევროპის დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ევროპის განათლების სისტემის საფუძველი ყოველთვის იყო ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება, ეს ასე უნდა დარჩეს მომავალშიც. ამის შემდეგ, რომ დავრწმუნდეთ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა ყველა პროგრამის შედარებითობა და მათი გაცვლის შესაძლებლობაში, საჭიროა სამუშაოს მოცულობაზე დაფუძნებული კრედიტების სისტემის მთელს ევროპაში დანერგვა. საჭიროა ხარისხების შესადარი სისტემისა და აკრედიტაციისათვის კრიტერიუმების საერთო ევროპული სტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს სხვა ქვეყნებსა თუ დაწესებულებებში დაგროვებული კრედიტების აღიარებას. აკადემიური ხარისხების ორსაფეხურიანმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს თავისუფალი და თანაბარი პირობები ყველა სტუდენტისათვის, როდესაც სტუდენტის გარიცხვა მხოლოდ აკადემიურ საფუძველზე იქნება შესაძლებელი. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს შორის. აკრედიტაცია, როგორც პროგრამათა სერტიფიცირების პროცესი, სხვა კრიტერიუმებთან ერთად ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს და უნდა გამოყენებულ იქნეს ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე, ხელს უწყობს რა ამ სფეროში სრულყოფასა და თანამშრომლობას, მოითხოვს სტუდენტთა, მასწავლებელთა, და მეცნიერთა ფიზიკურ მობილობას. მობილობა კარგი გზაა კულტურული ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობისათვის. მობილობის ხელის შემშლელი ბარიერები არსებობს არა მარტო აკადემიური სამყაროში. უნდა მოიხსნას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ბარიერებიც. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უცხოელი სტუდენტები ისეთივე კანონიერი უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ ადგილობრივი სტუდენტები. უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა კი თავიანთი სტუდენტებისთვის უნდა შექმნან მობილური პროგრამები.

ნამდვილი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის შედეგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიზრდება მობილობა, გაუმჯობესდება ხარისხი და ევროპული განათლება და კვლევა უფრო მიმზიდველი გახდება. ბოლონიის პროცესის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ დასაწყისია გამჭვირვალობისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს ძირითადი ინფორმაციის დაგროვების პროცესს. ინფორმაციის დონის გასაუმჯობესებლად საჭიროა დიპლომის დანართის დანერგვა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველასათვის მისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნა.

სტუდენტების როლი

და ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სტუდენტები, როგორც კომპეტენტური, აქტიური და კონსტრუქციული პარტნიორები უნდა გახდნენ ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა განათლების სფეროში ცვლილებების შესატანად. ბოლონიის პროცესში სტუდენტების მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტუდენტების მუდმივი და ფორმალური მონაწილეობისკენ ყველა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სადისკუსიო ფორუმებში, რომელიც შეეხება ევროპაში უმაღლეს განათლებას.

ESIB – ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირები, როგორც ევროპელი სტუდენტების წარმომადგენელი ორგანიზაცია უნდა შევიდეს ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფში.

ESIB – ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირები გააგრძელებენ სტუდენტების ინტერესების წარდგინებას და მათი შეხედულებების პრეზენტაციას ევროპის დონეზე.